პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭო

04/06/2024

MES 6 24 0000617632

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის "ალპინისტი მაშველი 3 დონე" მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ალპინისტი მაშველი 3 დონე /01901/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე **(დანართი).**

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 4 ივნისის №616723 ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

ელექტრონული
მფარველობა
ელექტრონული

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01901	ალპინისტი მაშველი 3 დონე	გადამზადება	მეხუთე	14	ქართული	12	მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები; ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივი; ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები